

სპორტული

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო
ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

23 ივლისი, ხუთშაბათი, 1987 წ.
№ 142 (9558) შპსი 3 კვპ.

გამოცემის 1934 წლის 13 აპრილიდან



სპორტული სკოლების მოსწავლეთა საკავშირო თამაშები

საბავშვო თამაშები



გუშინ...

სალამოს სარბიელზე გამოვიდნენ საქართველოს ნაკრები და პროფკავშირთა-II გუნდი. წარმატება წილად ხვდა ჩვენი რესპუბლიკის ნაკრებს — 3:0. საკავშირო განათლების სამინისტროს დასავლეთი ზონისა და უკრაინის განათლების სამინისტროს კოლექტივების შეხვედრაში უკრაინელმა ფრენბურთელებმა გაიმარჯვეს — 3:0.



სამხრეთის ზონისა და „უროჯაის“ გუნდების შეხვედრით დაიწყო ვაუ ფრენბურთელთა შეჯიბრება.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

ფრენბურთელთა პირველი ქულაები

გუშინ, დილით, თბილისის სპორტკომიტეტის ფრენბურთის ღია მოედანზე დაიწყო სპორტსკოლების მოსწავლეთა საკავშირო თამაშების პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება ფრენბურთში პირველი რსფსრ-ის განათლების სამინისტროსა და საკავშირო სპორტსაზოგადოება „დინამოს“ ფრენბურთელები ჩაებნენ. რუსეთის ფედერაციის ძლიერმა გუნდმა, რომელიც ჩემპიონობის ერთ-ერთი ფავორიტია, 50 წუთში დაამარცხა „დინამოს“ კოლექტივი — 3:0 (15:4, 15:6, 15:6) და აქტიური პირველი ქულა ჩაიწერა.

საკავშირო განათლების სამინისტროს სამხრეთის ზონის ფრენბურთელებმა ანგარიშით 3:1 (12:15, 15:3, 15:10, 15:9) სძლიეს „უროჯაის“ გუნდს.

სოსოში დაიწყო ფრენბურთელთა გოგონათა ასპარეზობა. გუშინ დილით პროფკავშირთა-I ნაკრებმა ანგარიშით 3:1 (15:4, 15:3, 6:15, 15:12) დაამარცხა „დინამოს“ ნაკრები. რსფსრ-ის განათლების სამინისტროს კოლექტივმა მოუგო სამხრეთის ზონის ნაკრებს — 3:0 (15:11, 15:2, 15:8).

ინინი საპარტეზლოს სპორტულ ღირსებას იცავს:

დავით ლხინაძე (სიმაღლე 191 სმ), დავით გიორგიშვილი (196), ანდრეი მუხინი (188), დანიელ ალინიკოვი (186), რომან პავლოვი (188), იგორ სამოილენკო (186), დავით მესხი (190), გიორგი გელაშვილი (189), ბურჩა ლუხუტაშვილი (188), გენადი კალმიკოვი (189) (ყველა—თბილისი), სერგეი პერეგელიცა (190, რუსთავი), ანატოლი ხუბუევი (194, ცხინვალი).

თამაშები აპროგრავს



ეს სურათი თბილისში, სტუდენტთა ქალაქში გადაღებულია. რსფსრ-ის, უზბეკეთისა და სომხეთის ნორჩი სპორტსმენებმა უმაღლეს დამყარეს შეგობობა.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

უარადღება!

დღეს, 23 ივლისს, 12 საათზე, ქალაქის სახალხო (ლენინის ქ. № 37) ჩატარდება სპორტული სკოლების მოსწავლეთა საკავშირო თამაშებში მონაწილე ნაკრებ გუნდებთან შეხვედრა.

გრივორაშვილი, ბულგარელმა — ანდონ სინბულესმა.

გალსა-ბილა (კოლონეთი). სოციალისტური ქვეყნების დელტაპლანერისტთა პირველ ჩემპიონატში გუნდური მესამე ადგილი სსრ კავშირის ნაკრებმა დაიკავა. მას წინ გაუსწრეს ჩეხოსლოვაკისა და ბულგარეთის სპორტსმენებმა. საბჭოთა დელტაპლანერისტების საერთაშორისო დებიუტი შარშან ევროპის პირველობაზე შედგა. ჩვენმა ნაკრებმა 25 გუნდში XIII ადგილი დაიკავა. სოციალისტური ქვეყნების ჩემპიონატზე პირად ჩათვლაში თავი ჩეხოსლოვაკიელმა დან ვინალიკმა გამოიჩინა. მან 101 კილომეტრზე იფრინა.

მოსკოვი. დამთავრდა საკავშირო ჩემპიონატი ცხენოსნობაში. პროგრამის ბოლო სახეობა უმაღლესი კლასის დაბრკობადა გააღება იყო (160 სანტიმეტრამდე). გამარჯვება ამ ურთულეს სახეობაში ლიტველმა რაიმონდს უდრაკისმა მოიპოვა.



მარშაპა. აქ ჩატარდა დიდი საერთაშორისო ტურნირი კლასიკურ ჰიდაობაში ვლადისლავ პიტლოისინის სახელობის თასზე. საბჭოთა ათლეტებმა სამი პირველი, ორი მეორე და ერთი მესამე ადგილი დაიკავეს. ტურნირის ჩემპიონები გახლენ: მოსკოველი ვლადიმერ ოსტროუმოვი (52 კგ), მინსკელი ოპანეს არუთინიანი (57 კგ), ნოვოსიბირსკელი რაილ ბიკმურზინი (90 კგ). მეორე ადგილზე მოსკოველი გრივორ დანელიანი (62 კგ) და ომსკელი ნიკოლოზ კოვალენკო (68 კგ) გავიდნენ, მესამეზე კი — ლენინკანელი მიხეილ მანუჩიანი (62 კგ). სხვა წონებში პირველი ადგილები დაიკავეს: პოლონელმა ანჯეი გლომბა, იუზეფ ტრაჩმა, ბოვდან დარასამა და ანჯეი გრონსკომ, რუმინელებმა — პეტრე კერარემ და იონ

„ლეოს“ სპეციალური კორესპონდენტები ლეილა სუბელიანი, დიმიტრი კავცოვი, ავთანდილ გურასაშვილი, თამაზ ხარაბაძე, მაია მესხია ბელეფონით გვახურობინებენ:

სინგულუ პირველი მედლები გათავაზდა

გუშინ ცხინვალში დაიწყო სპორტული სკოლების მოსწავლეთა საკავშირო თამაშების პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება ძალოსნობაში. დილით მსუბუქი წონის ძალოსნებმა იასპარეზეს. გთავაზობთ ტექნიკურ შედეგებს: 44 კგ წონითი კატეგორია: 1. ილგოზ ქაბალოვი (პროფკავშირები-I, უზბეკეთი) — 155 კგ (ატაცი 60, აკრა

95 კგ). II. სურენ ეგიზარიანი („დინამო“, ერევანი) — 150 კგ (60+90); III. ვიტალი ოზმანი (პროფკავშირები-II, ყაზახეთი) — 147,5 (65+82,5). IV. ვაგროლ დემურჩიევი (საქართველო, წალკა) — 147,5 (62,5+85). ვიტალი ოზმანა და ვაგროლ დემურჩიევი ერთნაირი წონა დაძლიეს, მაგრამ ყაზახეთის წარმომადგენელმა ჩვენს ძალოსანს ტექნიკაში მიღებული შეფასებით გაუსწრო. ერთი დღით ადრე, 21 ივლისს, ჩატარდა 44 კგ წონითი კატეგორიის ძალოსანთა გამოცდა ზოგადფიზიკურ მომზადებაში და თეორიაში. პირველი ადგილი დაიკავა ანდრეი შარტოფაროვმა („სეროშითი რუზერვები“, ყაზახეთი). II—ოლეგ დემურჩიევი, III. — ილგოზ ქაბალოვი.

სოფი-გულითადი მასპინძელი

გუშინ ხობში საზეიმოდ გაიხსნა სპორტსკოლების მოსწავლეთა საკავშირო თამაშების პროგრამით გათვალისწინებული მოცურავეთა ასპარეზობა. დღესვე, დილით, გაიმართა ნორჩ სპორტსმენთა შეჯიბრება საერთო ფიზიკურ მომზადებაში და თეორიული ცოდნის შემოწმება. პროგრამაში იყო ადგილიდან სივრცეზე ხტომა, გამოცდა სტარტის აღებასა და მობრუნების ტექნიკაში, 10 მეტრზე სრიალი. გამოცდა თეორიულ ცოდნაში საქართველოს წარმომადგენლებმა ფრიალზე ჩააბარეს. ხვალ გაიმართება შეჯიბრება, რომელიც პირველი მედლების მფლობელებს გამოავლენს. გარდა ასპარეზობისა, აქ ჩამოსულთ სხვა ბევრი რამ საინტერესოელი. თითოეულ გუნდს თავისი

შეფი ჰყავს, რომელთა დახმარებით ისინი გაცნობიან ხობის ღირსშესანიშნაობებს: სოფელ ჭამისკურში საქართველოს სახალხო არტისტის პიერ კობახიძის სახლ-მუზეუმს, სოფელ ხორგაში პოეტ ალიო მირცხულავას სახლ-მუზეუმს. ნორჩი სპორტსმენები ნახავენ XII საუკუნის არქიტექტურულ ძეგლს — ხობის მონასტერს, მუზეუმს, სადაც გამოფენილია კოლხეთის დაბლობის ამოწრობისა და ათვისების ამსახველი მასალები. დაათვალიერებენ სპორტულ მოედნებს და დარბაზებს, რითაც ასე მდიდარია ხობი.

საქართველოს დელეგაციის წევრები საცურაო აუზ „იმედის“ სასტუმროში დააბინავენ. ჩვენს გუნდს შეუახობის სუშალო სკოლა და საავტომობილო გზების № 1 სარემონტო-სამშენებლო სამმართველო შეფობს. გუშინ შეფებმა სტუმრებს დაათვალიერებინეს რაიონის ცენტრი. საზოგადოება „ცოდნის“ წარმომადგენელმა მათთვის ლექცია წაიკითხა. საცურაო აუზის დირექცია და შეჯიბრების საორგანიზაციო კომიტეტი ყოველმხრივ მომზადებული შეხვდა ნორჩ მოცურავეთა ასპარეზობას.

თამაშების განრიგი ფრენბურთში
23 ივლისი. „ა“ **გუშინ 10.00.** დასავლეთის ზონა — პროფკავშირები-II; საბჭოთა არმია — უკრაინა. „ბ“ **გუშინ 17.30.** რუსეთის ფედერაცია — სამხრეთის ზონა, 19.00. პროფკავშირები-I — „დინამო“. 24 ივლისი. „ბ“


გუშინ 10.00. „უროჯაი“ — რუსეთის ფედერაცია, სამხრეთის ზონა — პროფკავშირები-I. „ა“ **გუშინ 17.30.** საქართველო — დასავლეთის ზონა, 19.00. პროფკავშირები-II — საბჭოთა არმია.

გუშინ „დინამოს“ სტადიონზე




გუშინ თბილისის „დინამოს“ სტადიონზე დაიწყო სპორტსკოლების მოსწავლეთა საკავშირო თამაშების ყველაზე მასობრივი შეჯიბრება — ასპარეზობაში მძლეობის ჩაებნენ, რომლებმაც საერთო ფიზიკური მომზადების ნორმატივები და მძლეობის თეორიული ცოდნის ხაფუძვლები ჩააბარეს. თითოეულ მონაწილეს არჩეული სახეობის მიხედვით სამოთხერ უბედობა და სექტორში გამოხვდა და ამიტომ შეჯიბრებამ მთელ დღეს გახატა.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები.



საორბული სკოლები მოსწავლეებს სავაჭრო თაბაში



საიბალო დასაწყისი

ჭუთაინი. სპორტკომბინატის დარბაზში დაიწყო სპორტსკოლების მოსწავლეთა პირველი საკავშირო თამაშების მონაწილეთა ასპარეზობა კრივში. დღით წინასწარი ბრძოლები გაიმართეს 40, 44, 48, 52, 57, 70, 79 და 85 კგ წონით კატეგორიის მოკრივეებში.

რჩევები. ერთი სიტყვით, დასაწყისი საიმედოა. საღამოს მოეწყო შეჯიბრების საზემო განხილვის ცერემონიალი. შეჯიბრების მონაწილეებს გადაეცინეს საკავშირო სპორტსახელმძღვანელების სამინისტროს, კრივის საკავშირო ფედერაციის მისასალმებელი წერილი. შემდეგ კიდევ 22 წყვილი გამოვიდა რინგზე.

ქვეყნის სპორტკომბინატის

დავით კვაჭავაძე: — ჯერ კიდევ საერთო ფიზიკური მომზადების შემოწმების დროს გახდა ცხადი, რომ თერთმეტე კლასის წევრები საუცხოოდ არიან მომზადებული და ბრძოლა შედეგების მოსაპოვებლად დაძაბული იქნება. ამაში დაგვარწმუნა პირველივე ორთაბრძოლებმა. მხოლოდ ორ შეხვედრაში შეწყდა ბრძოლა ერთ-ერთი მეტოქის აშკარა უპირატესობის გამო. რაც შეეხება ჩვენი რესპუბლიკის გუნდის წევრებს, მათ საკმაოდ კარგად აიღეს სტარტი — პირველივე ორთაბრძოლაში წარმატებას მიაღწიეს. ჩვენი გუნდი ფიზიკურად და ტექნიკურად კარგად არის მომზადებული, მაგრამ პროფესიონალების გაკეთება ნაადრევია, რადგან მთავარი ორთაბრძოლები წინაა.

საინტერესო საფეხბურთო ტურნირი

საორბული სკოლების მოსწავლეთა საკავშირო თამაშების პროგრამაში, რომელიც წლებულს საქართველოში ამართება, მრავალი საინტერესო სახეობა შედის, მათგან ერთ-ერთი ყველაზე საყურადღებოა საფეხბურთო ტურნირი.

11-მეტრიანები ფიფას არსებული წესის შესაბამისად. თუ ფეხბურთელმა შეჯიბრების მსვლელობაში ორი გაფრთხილება მიიღო, მას დისკვალიფიკაციას მიესჯენ ერთი მომდევნო თამაშით, მინდვრიდან გაძევებულ ფეხბურთელს ავტომატურად მიეცემათ მომდევნო თამაშში დისკვალიფიკაცია.

ლუბის სამინისტრო. 18 ს. „დინამო“ — პროფკავშირები-II. 20 ს.

II ტური, 25 ივნისი. რსფსრ-ს განათლების სამინისტრო — „დინამო“ 18 ს. განათლების სამინისტრო (სამხრეთი) — „უროკაი“. 20 ს.

III ტური, 27 ივნისი. „დინამო“ — განათლების სამინისტრო (სამხრეთი). 18 ს. პროფკავშირები-II — რსფსრ-ს განათლების სამინისტრო. 20 ს.

IV ტური, 28 ივნისი. განათლების სამინისტრო (სამხრეთი) — პროფკავშირები-II. 18 ს. „უროკაი“ — „დინამო“. 20 ს.

V ტური, 30 ივნისი. პროფკავშირები-II — „უროკაი“. 18 ს. რსფსრ-ს განათლების სამინისტრო — განათლების სამინისტრო (სამხრეთი). 20 ს.

დასაწყისი თაბაში. 1 აგვისტოს რუსთავეს ერთმანეთს შეხვდებიან „ა“ და „ბ“ ჯგუფებში მესამე ადგილებზე გასული გუნდები (V ადგილისთვის). მატჩის დასაწყისი 18 საათზე.

იმევე დღეს, თბილისის გ. დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის სტადიონზე გაიმართება ნახევარფინალური. 15 საათზე ერთმანეთს შეხვდებიან „ა“ ჯგუფის გამარჯვებული და „ბ“ ჯგუფის II ადგილზე გასული, ხოლო 18 საათზე — „ბ“ ჯგუფის გამარჯვებული და „ა“ ჯგუფში II ადგილზე გასული.

კვირას, 2 აგვისტოს, გ. დიმიტროვის სახ. საავიაციო ქარხნის სტადიონზე 15 საათზე III ადგილისთვის ერთმანეთს შეხვდებიან ნახევარფინალში დამარცხებული გუნდები.

თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონზე 18 საათზე გაიმართება გადაწყვეტილი მატჩი ჩემპიონის გამოსავლენად.

დაბოლოს, გათავაზობთ საქართველოს ნაკრების შემადგენლობას: უფროსი მწვრთნელი — რუსპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელი — ა. ამირჯანი, გუნდის უფროსი — სპორტის ოსტატი გ. მუშაძე, მწვრთნელები — რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელი რ. ვერულიძე, გ. შავდა, ნ. მუშაძე, ფეხბურთელები: კ. ამირჯანი (თბილისის 35-ე სკოლა), ზ. არჩვაძე (განათლება), რუსთაველი, ჯ. გვაზავა (35-ე სკოლა), ე. გვაზავა (განათლება), ნიბი, ვ. გეგეშიძე, ა. გელაძე (დინამო, თბილისი), მ. დამარცხებული ვილი (35-ე სკოლა), კ. დგებუაძე (დინამო, გარა), დ. ჯანელიძე (დინამო, თბილისი), რ. ლოკოტიკოვი (დინამო, გარა), ვ. მისიურაძე (დინამო, თბილისი), გ. მანჯავაძე (განათლება), ქუთაისი, ი. ნასუაშვილი (35-ე სკოლა), გ. ნეშაძე (დინამო, თბილისი), კ. ნინუა, ნ. სირაძე, ზ. თვარო (35-ე სკოლა), თ. ტულუში (განათლება), მათუში, გ. ხვალაიანი (35-ე სკოლა), გ. ხოსროშვილი (დინამო, თბილისი), გ. კილაძე (35-ე სკოლა).

„სტუმრები სპორტში“, 23 ივნისი.

პეკიზების წიგნი

რას გვპირდება სამბისტები?

ბოლო წლებში კიბოობაში პოზიციები დავითით. ყველაზე მეტად სამბისტები ჩამორჩნენ. ახლა კარს მოგვადგა სპორტსკოლების მოსწავლეთა საკავშირო თამაშების პროგრამით გათვალისწინებული სამბისტთა შეჯიბრება. ასპარეზობა 26 ივლისის დაიწყო. როგორ ფიქრობთ, კვლავ მოკრძალებული ადგილებით ხომ არ დავკმაყოფილდებით? — ვკითხეთ საქართველოს სამბისტთა ნაკრების უფროს მწვრთნელს, რესპუბლიკის დამსახურებულ მწვრთნელს თენგიზ არაბულს, რომელიც თბილისის განათლების სამმართველოს ბავშვთა და მოზარდთა ოლიმპიური რეზერვის კიბოების სპორტსკოლის დარბაზში ავარჯიშებს გუნდს.

რტსკოლის დარბაზში ავარჯიშებს გუნდს. — საკავშირო თამაშებისთვის ინტენსიური მზადება წელს დაიწყო, — ვითხრა თ. არაბულმა. — იანვარში ჩატარდა 1971-72 წლებში დაბადებულ მოზიდვეთა რესპუბლიკური პირველობა, სადაც საქართველოს ნაკრებისთვის თითოეულ წონაში (სულ 16 წონა.) 3-4 პერსპექტიული სპორტსმენი შეგარჩიეთ. ამდენ სპორტსმენთან ერთი ან ორი მწვრთნელი ვერაფერს გახდებოდა, ამიტომ შეიქმნა მწვრთნელთა მთავარი მისია — მოზარდთა ოლიმპიური რეზერვის კიბოების სპორტსკოლის დარბაზში ავარჯიშებს გუნდს.

მს. 33-4 33



ამ შეჯიბრებაში სულ მონაწილეობს სხვადასხვა უწყებისა და რესპუბლიკის 11 კოლექტივი, რომლებიც 2 ჯგუფად არიან დაყოფილი.

„ა“ ჯგუფის ტურნირი გაიმართება თბილისის „ლოკომოტივის“ და გ. დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის სტადიონებზე. ამ ჯგუფში გამოიწვევიან: 1. უკრაინის განათლების სამინისტრო, 2. საქართველოს ნაკრები, 3. საბჭოთა არმიის ნაკრები, 4. პროფკავშირების სპორტსახელობათა I ნაკრები, 5. სსრ კავშირის განათლების სამინისტროს ნაკრები (დასავლეთი ზონა), 6. „სრომითი რეზერვების“ ნაკრები.

„ბ“ ჯგუფის შეხვედრები გაიმართება რუსთავეის „მეტალურგის“ სტადიონზე. ამ ჯგუფში გაერთიანდებიან: 1. სსრ კავშირის განათლების სამინისტრო (სამხრეთი ზონა), 2. „უროკაის“ ნაკრები, 3. „დინამოს“ ნაკრები, 4. პროფკავშირების სპორტსახელობათა II ნაკრები, 5. რსფსრ-ს განათლების სამინისტროს ნაკრები.

თამაშების საფეხბურთო ტურნირი გაიმართება ორ ეტაპად — წინასწარი და ფინალური შეჯიბრებებში. პირველ ეტაპზე ორივე ჯგუფში თამაშები ჩატარდება ერთ წრედ. პირველ-მეორე ადგილებზე გასული გუნდები მეორე ეტაპზე იბრძობებიან პირველი ოთხი ადგილისთვის: „ა“ ჯგუფის პირველი გუნდი შეხვდება „ბ“ ჯგუფის მეორე გუნდს, ხოლო „ა“ ჯგუფის მეორე გუნდი — „ბ“ ჯგუფის პირველ გუნდს. ამ ნახევარფინალურ ეტაპზე გამარჯვებული ერთმანეთს შეხვდებიან I-II ადგილების გამოსავლენად, ხოლო წაგებულები იბრძობებიან III-IV ადგილებისთვის. შედეგად აგრეთვე ჯგუფში III ადგილებზე გასული გუნდების მატჩი V ადგილისთვის. დასაბოლოებულ შეჯიბრებას პირველი ეტაპის შემდეგ ეთიშებიან. თამაშების ხანგრძლივობაა 80 წუთი (ყოველი ტაიმი 40 წუთი), თამაშის მსვლელობაში ნებადართულია 6 ფეხბურთელის შეცვლა.

თუ ორ და მეტ გუნდს წინასწარ შეჯიბრებებში ქულათა თანაბარი რაოდენობა აღმოაჩნდა, უპირატესობა მიენიჭება უშუალოდ ერთმანეთთან ჩატარებულ შეხვედრათა უკეთესი შედეგის მიხედვით (ჯერ — ქულათა რაოდენობა, შემდეგ — გატანილი და მიღებული ბურთების უკეთესი სხვაობა); მეორე — ყველა შეხვედრაში გატანილი და მიღებული ბურთების უკეთესი სხვაობით; ყველა შეხვედრაში გატანილი ბურთების რაოდენობით. თუ ყველა ეს მაჩვენებელი ერთნაირი აღმოჩნდა, გუნდების ადგილები განისაზღვრება წილისყრით. თუ ფინალურ შეხვედრებში თამაში ფრედ დამთავრდა, დაინიშნება დამატებითი ორი ტაიმი, თითოეული 10-10 წუთის ხანგრძლივობით, შემდეგ კი — დამატებითი

ტურნირის კალენდარი

„ა“ ჯგუფი

I ტური, 24 ივნისი. საბჭოთა არმია — პროფკავშირები-I. „ლოკომოტივის“ სტადიონი. დასაწყისი 10 საათზე. საქართველო — განათლების სამინისტრო (დასავლეთი). გ. დიმიტროვის სახ. ქარხნის სტადიონი. 10 საათი. უკრაინის განათლების სამინისტრო — „სრომითი რეზერვები“. „ლოკომოტივის“ სტადიონი. 12 ს.

II ტური, 25 ივნისი. „სრომითი რეზერვები“ — პროფკავშირები-I. „ლოკომოტივის“ სტადიონი. 18 ს. განათლების სამინისტრო (დასავლეთი) — საბჭოთა არმია. „ლოკომოტივის“ სტადიონი. 20 ს. უკრაინის განათლების სამინისტრო — საქართველო. დიმიტროვის სახ. ქარხნის სტადიონი. 18 ს.

III ტური, 27 ივნისი. საქართველო — „სრომითი რეზერვები“ გ. დიმიტროვის სახ. ქარხნის სტადიონი. 18 ს. საბჭოთა არმია — უკრაინის განათლების სამინისტრო. „ლოკომოტივის“ სტადიონი. 18 ს. პროფკავშირები-I — განათლების სამინისტრო (დასავლეთი). „ლოკომოტივის“ სტადიონი. 20 ს.

IV ტური, 28 ივნისი. „სრომითი რეზერვები“ — განათლების სამინისტრო (დასავლეთი). „ლოკომოტივის“ სტადიონი. 18 ს. უკრაინის განათლების სამინისტრო — პროფკავშირები-I. „ლოკომოტივის“ სტადიონი. 20 ს. საქართველო — საბჭოთა არმია. გ. დიმიტროვის სახ. სტადიონი. 18 ს.

V ტური, 30 ივნისი. საბჭოთა არმია — „სრომითი რეზერვები“. „ლოკომოტივის“ სტადიონი. 18 ს. პროფკავშირები-I — საქართველო. გ. დიმიტროვის სახ. სტადიონი. 19 ს.

„ბ“ ჯგუფი

I ტური, 24 ივნისი. „უროკაი“ — რსფსრ-ს განათლების სამინისტრო. 18 ს. „დინამო“ — პროფკავშირები-II. 20 ს.

II ტური, 25 ივნისი. რსფსრ-ს განათლების სამინისტრო — „დინამო“ 18 ს. განათლების სამინისტრო (სამხრეთი) — პროფკავშირები-II. 18 ს. „უროკაი“ — „დინამო“. 20 ს.

III ტური, 27 ივნისი. „სრომითი რეზერვები“ — პროფკავშირები-I. „ლოკომოტივის“ სტადიონი. 12 ს. საქართველო — განათლების სამინისტრო (დასავლეთი). გ. დიმიტროვის სახ. ქარხნის სტადიონი. 10 საათი. უკრაინის განათლების სამინისტრო — „სრომითი რეზერვები“. „ლოკომოტივის“ სტადიონი. 12 ს.

IV ტური, 28 ივნისი. „სრომითი რეზერვები“ — განათლების სამინისტრო (დასავლეთი). „ლოკომოტივის“ სტადიონი. 18 ს. უკრაინის განათლების სამინისტრო — პროფკავშირები-I. „ლოკომოტივის“ სტადიონი. 20 ს. საქართველო — განათლების სამინისტრო (დასავლეთი). გ. დიმიტროვის სახ. სტადიონი. 18 ს.

V ტური, 30 ივნისი. პროფკავშირები-II — „უროკაი“. 18 ს. რსფსრ-ს განათლების სამინისტრო — განათლების სამინისტრო (სამხრეთი). 20 ს.

თაბაში სავაჭრო პრანის უარსებობა

გამოთვლილი მანქანა... ჯიბაში

დაიწყო სპორტსკოლების მოსწავლეთა პირველი საკავშირო თამაშები. თბილისისა და ბათუმში უკვე დამთავრდა წყალბურთისა და სპორტულ ტანმოვარჯიშეთა ტურნირები. ახლა საკავშირო თამაშები რესპუბლიკის სხვა ქალაქებში გაგრძელდება. ხანმოკლე შესვენებით ვისარგებლოთ და გავეცალოთ მსაჯთა კორპუსის ხელმძღვანელს

— რამდენი მსაჯი ემსახურება თამაშებს? — პასუხის ვასაცემად ასპარეზობის მთავარმა მდივანმა, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯმა ედვინ სიროტკინმა ჩიბიდან მატარებელში მომთვლილი მანქანა ამოიღო და რამდენჯერმე შეეცოთ თითოთ. შემდეგ თქვა: — ათას ორასი! — რამდენი სპორტსმენი მონაწილეობს შეჯიბრებაში?

— ხუთი ათას ხუთასი. — სულ რამდენი ჯიბაში დაწვეს? — ყველა სახეობაში — 452 კომპლექტი. — ალბათ, ზოგიერთი ჯიბაში პირველად გათამაშდება. — დიან. ის სპორტსმენები, რომლებიც ყველაზე უკეთ ჩაბარებენ ჩაივლის საერთო-ფიზიკურ და თეორიულ მომზადებაში, შედეგებით ისევე დაჯილდოვდებიან, როგორც

ასპარეზობაში გამარჯვებულნი. გამოვლინდება, აგრეთვე, სამ-სამი საუკეთესო სპორტული სკოლა ყველა სახეობაში.

— უკვე დამთავრდა შეჯიბრებში სპორტულ ტანმოვარჯიშში. გვიანობით, როგორც იყო მსაჯთა შემადგენლობა ამ სახეობაში? — მსაჯთა კოლეგიის წარმომადგენლების 50 პროცენტი საკავშირო და საერთაშორისო კატეგორიისა იყო. მათ შორის იყვნენ ნ. კიმი, ი. სიჩარულიძე, ვ. კლამენკო და სხვები. ალბათ სხვა არბიტრების ვინაობაც გაინტერესებთ. მაგალითად, ორმოცდათექვსმეტი მსა-

ჯიდან, რომლებიც ფრენბურთის მოემსახურებიან, ოცდაათმეტი უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტია.

— თქვენ ახლა დღე-ღამეში 12 საათს გიჩვენებთ მუშაობა. ალბათ პრობლემებიც გაქვთ გადასაჭრელი...

— გულანდილად ვითხრათ, ჩვენ არ მოველოდით, რომ ეს შეჯიბრებები ასეთ შალად დონეზე იქნებოდა ორგანიზებული. ამის საიდუმლო ბეჭით, გულმოდგინე მომზადებაშია.



როგორ გავხდით სპორტული რესპუბლიკა

„დინამოს“ სტადიონი — კათილი, გულთა მასპინძელი...

საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი წლებიდანვე რესპუბლიკაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა ფიზიკულ-სპორტული მოძრაობის მასობრიობას. ამ ამოცანის გადაჭრისათვის საჭირო იყო სპორტული ბაზების მშენებლობა, რომელსაც ახეივანულად მოვიდა ზელი საბჭოთა მთავრობამ. იმათვე განხორციელებაში მონაწილეობდა სპორტული ცენტრების და მათი მოვლის მუშაკების, მერვე კი დიდი მშენებლობების დროც დადგა. ახალი რუბრიკით, როგორც ვხედავთ სპორტული რესპუბლიკა სისტემატურად გადგინდა, როგორც საქართველოს უმნიშვნელოვანეს სპორტულ ბაზებს, რომლებიც ჩვენში საბჭოთა ხელისუფლების წლებში აიგო, ისე ცალკეულ საკითხებს. დღეს უპირველესი სპორტული ბაზის — თბილისის „დინამოს“ სტადიონის შესახებ გვსაუბრებით.

20-მინი წლების თბილისი. ქალაქის განაპირას, დიდუბეში, მშენებლის ბაღისა (ახლანდელი ს. თორგონიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკი) და მუშაობის სპორტული ბაზის — თბილისის „დინამოს“ სტადიონის ნაშენი იყო. მინდორზე აქა-იქ ფიქრულად ჩაედგათ, საჩუქრად ბალახს გაედგა ფესვი... — სწორედ აქ, 1935 წელს დაიწყო საქართველოს დღევანდელი უმთავრესი სპორტული ბაზის — თბილისის „დინამოს“ სტადიონის მშენებლობა.

ოლიმპიელთა მატჩი

სსრ კაპეშვილის ოლიმპიელ ფეხბურთელთა ნაკრებმა 21 ივლისს მოსკოვში ანგარიშით 2:0 დაამარცხა პოლონეთის ეროვნული გუნდი. ბურთები გაიტანეს ტატარჩუკმა და დობროვოლსკიმ.

საბჭოთა ოლიმპიელთა შემადგენლობა: ხარინი, კერაშვილი, სკლიოპოვი, იაროვენი, ლოსკევი, მიხაილიჩენკო, ტინჩენკო, ბროშინი (ი. სავიჩევი), ტატარჩუკი (ვირობოტოვი), დობროვოლსკი, ლიუტი (კოლიგანოვი).

მატჩი იმსავა საერთაშორისო კატეგორიის არბიტრმა ვ. მინინოვი-ვილმა (თბილისი).

დისკალდინიკანია...

სსრ კაპეშვილის ფეხბურთის ფედერაციის სპორტექსპერტმა კომისიამ განიხილა დისკალდინის კომისიის საქმიანობა. დნეპროპეტროვსკის „დნეპრის“ ფეხბურთელს ვ. ტინჩენკოს, რომელიც მინდორიდან იყო გაძევებული, ერთი მატჩით აუკრძალეს თამაში, ასევე ერთი მატჩითაა დისკალდინირებული მოსკოვის „სპარტაკის“ მთავარი ვ. ხიდატულინი. მან წლებს მეორე ყველაზე ბარათი დაიმსახურა.

3 მატჩით დისკალდინირებულია ლანჩხუთის „გურიის“ ფეხბურთელი მ. მახარაძე, აგრეთვე, მინსკის დინამოელი ა. კისტივი.

ლიგა

21 ივლისს I ლიგის ფეხბურთელთა საქვეშინო ვთამაშების ორი მატჩი გაიმართა: „მეტალურგი“ (ხაბროვო) — „ზარია“ (კოროლუოვკა) 4:0, „კრილია სოვეტოვი“ (კუბოვეცი) — „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) 2:1

საინსპექციო მოგზაურობა

როგორც ცნობილია, ფეხბურთელთა 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატის გამართვა ოთხ ქვეყანას აქვს, ბრაზილიას, ჩილესსა და მაროკოს სურს. მაგრამ ასეთი დიდი და პაპულარული შეჯიბრების ჩატარებისთვის მარტო სურვილი არ არის საკმარისი. ორგანიზატორი ქვეყანა ყოველმხრივ მომზადებული უნდა იყოს — პირველ რიგში კი სპორტული თვალსაზრისით და ეკონომიურად.

ამას წინათ აველანჯი მაროკოს ეწვია — აფრიკის პირველ ქვეყანას, რომელსაც მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლობა განიზარაბა, ფიფას პრეზიდენტი მიიღო მაროკოს მეფე. სტუმარს დათვალა რეზიდენს ადგილობრივი სპორტული ბაზები და გააცნეს მომავალ მშენებლობათა პროექტები. როგორც ამობრუნდა, პრეზიდენტი ამ ვიზიტით კმაყოფილი დარჩა. აველანჯამ მიიღო მიწვევა 1988 წლის აფრიკის ქვეყნების საფეხბურთო ჩემპიონატზე, რომელიც მარტოში მაროკოს სტადიონებზე ჩატარდება.

მშენებლობა. არჩილ ქურდიანის მეტად ორიგინალურ, გემოვნებით შესრულებულ პროექტს მალე შეესაბოთა. საბჭოთა ფეხბურთის ჩემპიონატების დაწყებას 1936 წელს ჩვენი ქალაქი ახალი შესანიშნავი სტადიონით შეივსება. ნაგებობის მკვეთრი, ნათელი ხაზები, ქართულ ეროვნულ ორნამენტთან პარმიონულად შერწყმული, საყოველთაო მოწონებას იმსახურებდა. სპორტის მოყვარულებმა იმათვე შეიყვარეს „დინამოს“ სტადიონი, რომელიც, სპეციალისტების აზრით, ერთ-ერთი ულამაზესი (თუ ყველაზე ლამაზი არა) იყო მთელს კავშირში.

ვინ მოთვლის მის სარბიელზე გამართული რამდენი საინტერესო სპორტული პაექრობა გვინახავს: მძლეოსნებისა და კალათბურთელების ასპარეზობა, ტანმოვარჯიშების, მოქილავებისა და ველოსიპედისტების საჩვენებელი გამოსვლები, ტყავის ბურთის საუკეთესო კლუბებისა და აღიარებული ოსტატების თამაში.

ათობღე წლის წინათ „დინამოს“ სტადიონმა, შეიძლება ითქვას, ახალი ცხოვრება დაიწყო — მას რეკონსტრუქციის ჩაუტარდა. 36-ათასიანი ტრიბუნები ორჯერ და უფ-



საქართველოს სსრ-ის სპორტული რესპუბლიკის თბილისის „დინამოს“ სტადიონი

რო მეტად გაიზარდა, სტადიონს ირგვლივ საჩრდილოდგომი გაუყენდა, შეიცვალა რადიოგამზარება, გაძლიერდა ელექტროგამათება, ტრიბუნებზე ორი თანამედროვე ელექტროტაბლო გაჩნდა, კეთილმოწყობა გასაძლიერდა, სხვადასხვა სათავსოები, სტადიონს ახლა მოხერხებული პრესცენტრი და პრესლოჯა აქვს...

ჩვენი უპირველესი სპორტული სარბიელი ამ დღეებში ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან სპორტკოლების მოსწავლეთა საკავშირო თამაშებზე ჩამოსულ მძლეოსნებს მასპინძლობს. აქვე დაიდო ბინა მთავარ მსავთა კოლეგამ და თამაშების მთავარმა პრესცენტრმა.

ოთარ ოთარაშვილი.

საინსპექციო მოგზაურობა

სილაგავა (თბილისი). გოლები: ქობალია, გუჩუა, აფენდოპული (ამირანი).

„კოლხეთი“ (ხობი) — „ეგრისი“ (ცხაქავა) 5:1. მსაჯი თ. ლორთქიფანიძე (თბილისი). გოლები: ლატარია, გვიანიანი, ბაქურაძე, გვახალია, ჩარტია (ამირანი), შონია (ეგრისი).

„ეგრისი“ (ხაშუტი) — ფიჭულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 1:1. მსაჯი რ. ტალიაშვილი (თბილისი). გოლები: ხარაზიშვილი (ეგრისი), მებუჯე (ფიჭულტურის ინსტიტუტი).

„სპარტაკი“ (ცხინვალი) — „კახეთი“ (თელავი) 6:2. მსაჯი ს. შალამბერიძე (თბილისი). გოლები: ჩოჩიყვი, ი. ჯიოჯი, ა. ჯიოჯი, ხუბუჯიშვილი-3 (სპარტაკი), ბიჭინაშვილი, ჰვრიტიძე (კახეთი).

„მადნეული“ (ბოლნისი) — „საბურთალოსი“ (გეგეჭკორი) 8:0. მსაჯი უფურცელაძე (თბილისი). გოლები: ჯაფარიძე, უგულავა-2 (მადნეული).

„იმედი“-„დინამო“-2 (თბილისი) — „დინამო“ (გაგრა) 3:1. მსაჯი შ. თომაშვილი (თბილისი). გოლები: ნუგარიძე, ფანცულაია, მიქაშვიძე (იმედი) — „დინამო“-2, კვიციანი (დინამო) 2.

„სპარტაკი“ (ცხინვალი) — „საბურთალოსი“ (თბილისი). გოლები: ნიკოლაშვილი (საბურთალო), თ. გუმბათაშვილი, სოლოლაშვილი (საბურთალო).

„სულორი“ (ვანი) — „სამეგრელო“ (ჩხოროწყუ) 2:1. მსაჯი მ. კობიაშვილი (თბილისი). გოლები: კიკელიძე, ორბელიანი (სულორი), ციმაკურიძე (სამეგრელო).

უხეში თამაშისთვის გააფრთხილეს ვანელი დ. ლორთქიფანიძე.

„ქართლი“ (გორის რ-ნი) — „დინამო“ (ზუგდიდი) 2:1. მსაჯი ვ. ხეჩუაშვილი (თბილისი). გოლები: გაგანიძე-2 (ქართლი), ტიბუა (დინამო).

ბურთის განზრახ ხელით დაქვრივების გააფრთხილეს გორელი ე. წკრილაშვილი.

მსაჯის ფიზიკური შეუთანხმებლობის მიზეზებიდან გააძევეს ზუგდიდელი ე. ქედი.

„ამირანი“ (ოჩამჩირე) — „მეტალურგი“ (ზესტაფონი) 3:0, მსაჯი ე.

თი“ (მარნეული) — „მეფრიანე“ (კასპი) 1:1, „თორი“ (ბორჯომი) — „ბაგათი“ (ჩაქა) 9:0. ასპინძის „ვარძიასთან“ (სათამაშოდ არ გამოცხადდა მარნეულის რაიონის „კოლმეურნე“, რისთვისაც მას დამარცხება ჩაეთვალი.

III ქვეჯგუფი. „მამისონი“ (ზანა) (აბაშა) 2:1, „მეფრიანე“ (კიათურა) — „იმედი“ (წულუკიძე) 1:0, „ჩხერიშვილი“ (ორჯონიძე) — „ქოგნარი“ (თერჯოლის რ-ნი) 3:0, „საირმე“ (მათკოვსკი) — „ჩიხურა“ (საჩხერე) 3:0, „ქიმიკოსი“ (ამბროლაური) — ხტ (სამტრედი) 5:2, „მემაქვე“ (აგარა) — პოლიტექნიკური ინსტიტუტი (ქუთაისი) 1:5.

IV ქვეჯგუფი. „განთილი“ (გაგრა) — „ალიონი“ (გალის რ-ნი) 3:2, „ჩიბათი“ (ლანჩხუთის რ-ნი) — „ზახარო“ (ჩოხატაური) 3:0, უნივერსიტეტი (სოხუმი) — „ნარინჯი“ (ქობულეთი) 1:0, „მემაქვე“ (ტყვარჩელი) — „ნარინჯი“ (გონიო) 4:3, „ავტომობილისტი“ (ბათუმი) — „განთილი“ (ცხაქავა) 3:2.

ბათამაშვების ცხრილი

I ჯგუფი

მდგომარეობა 22 ივლისისთვის

ტ. მ. ფ. წ. ბ. ქ.	მ. მ. ფ. წ. ბ. ქ.
„სამეგრე“	23 13 8 2 39-16 34
„მეტალური“	23 13 8 2 33-16 34
„კოლხეთი“	22 15 3 4 41-17 33
„მადნეული“	23 13 6 4 36-20 32
„სპარტაკი“	23 12 6 5 43-26 30
„სულორი“	23 11 8 4 25-19 30
ფიხ. ინს.	23 11 7 5 42-23 29
„ამირანი“	23 11 4 8 31-29 26
„საბურთალოსი“	23 7 9 7 28-33 23
„დინამო“ ზ.	22 8 6 8 30-21 22
„სპარტაკი“	22 8 6 9 37-38 22
„სამეგრეული“	22 8 6 8 28-34 22
„იმედი“-2	18 7 7 4 32-24 21
„ეგრისი“	22 7 7 8 28-32 21
„მადნეული“	22 6 9 7 30-22 21
„ქართლი“	23 8 4 11 28-30 20
„მეტალ“	23 8 3 12 26-33 19
„კახეთი“	22 6 4 12 37-46 16
„იმედი“	23 5 6 12 28-52 16
„არმაზი“	23 5 5 13 21-37 15
„დურუჯი“	23 3 7 13 15-32 13
„ეგრისი“	23 3 6 14 16-34 12
ახ. საფ. სკ.	22 3 0 19 16-53 6

რას გვპირდებიან სამხრეთი?

დასასრული

ლი ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ გამოცდილი მწერთა ჯგუფი: ელიზბარ ბიგანიშვილი (თბილისი), გივი სარდანაძე (ქუთაისი), ბადრი ლატარია (ბათუმი), ვლადიმერ კუციჩი (სოხუმი), ზურაბ ტულუში (ფოთი), ფრიდონ ჩიტაშვილი (თელავი). ნაქრების კონსულტანტი მერაბ მჭარიაშვილი.

საკავშირო თამაშებისთვის მზადების პერიოდში კიდევ ორჯერ ჩატარდა რესპუბლიკური პირველობა, ამის შემდეგ თითოეულ წონაში 2-3 კანდიდატი დარჩა. რესპუბლიკის სპორტსახეობის ხელშეწყობით საფრთხილი შეკრებები ჩავატარეთ ბათუმში, ტყუბულში და თბილისში, მონაწილეობა მივიღეთ სამ საკავშირო ტურნირში. მოსკოვსა და კიშინიოვში გუნდური მეთოდები დაიკავეთ, კლასიკურად — პირველი. ამ დღეებში ნაქრების წევრობის კანდიდატებს შორის შესარჩევი შეხვედრები ჩავატარეთ და შევაჩინეთ 16 სპორტსმენი, რომლებიც საკავშირო თამაშებზე რესპუბლიკის სპორტულ ღირსებას დაცვენ. სხვათა შორის, მათი უმრავლესობა პერიფერიიდანაა.

ყველაზე მეტად ვისი იმედი შეიძლება გვაქონდეს?

საპროზო ადგილებისთვის ბრძოლა შეუძლიათ მეველ მელაძეს (თბილისი, 41 კგ წონითი კატეგორია), მურთაზ თურქიას (ფოთი, 50 კგ), მორის სუკასიანს (თბილისი, 59 კგ), ალექო თანდაშვილს (თბილისი, 68 კგ), ფრიდონ ყვავილაშვილს (რუსთავი, 71 კგ), გიორგი ხურციძეს (ქუთაისი, მძიმე წონა). მათ თანატოლთა შორის რესპუბლიკურ და საკავშირო შეჯიბრებებში

ში ბევრჯერ უსახელებიათ თავი, თუმცა ამ სპორტსმენებს არც სხვები ჩამორჩებიან. რაც შეეხება გუნდურ პირველობას, ალბათ მეოთხე ან მეხუთე ადგილს დავიკავებთ. თუ მეტოქე გუნდების ძალებს გავითვალისწინებთ (თითოეულ გუნდში ხომ სხვადასხვა რესპუბლიკის რამდენიმე საუკეთესო მოქიდავე გამოვა), ეს არც ისე ურიგო შედეგი იქნება.

როგორი ხისტი ვართ ჩართება შეგებრება და ვინ იქნება თქვენი მთავარი მეტოქე?

— თბილისში სასაპრეზოლო 11 გუნდი შეიკრიბება, სულ 176 მოქიდავე. კენჭისყრის შემდეგ ისინი ორ ჯგუფად გაიყოფიან. ქვეჯგუფებში პირველ ადგილზე გასული მოქიდავეები ჩემპიონობისთვის იბრძობენ, მეორე და მესამე ადგილებზე გასულიები — ბრინჯაოს მედალებისთვის. რაც შეეხება გუნდურ პირველობას, აქ ფავორიტებად რუსეთის განათლების სამინისტროსა და საკავშირო განათლების სამინისტროს სამხრეთის ზონის მოქიდავეებს ვიღიარებ. ჩვენი უშუალო კონკურენტი ვი ალბათ უკრაინის განათლების სამინისტროს, პროფკავშირების I და საკავშირო განათლების სამინისტროს დასავლეთის ზონის გუნდები იქნებიან.

ხელს რა ვიშლით მუშაობაში?

— ცხრა ივლისიდან განათლების სამინისტროს ბავშვთა და მოზარდთა ოლიმპიური რეზერვის კლავის სპორტული სკოლის დარბაზში ვვარჯიშობთ. არაფერი გვაწუხებს. ბიჭები ენერგიულად ვარჯიშობენ. სურთ იმედები გავიმართლონ საკავშირო თამაშებზე.

საუბარი ჩააწერა მამა დანელიძე.

სპორტული სსსპ-ის ნიშნის მქონე

ზაფხულის პაპანაძე სიცხეში შეიძლება ჩრდილსაც შეეფაროს

კაცე, კონდიციონერითაც გააგრილოს ადგილ-სამყოფელი, მაგრამ როდემდე გაიღებს უმოდროდ? ყველაზე საიმედო თევზსაფარი წყლის მაცოცხლებელი სიგრილეა, ამიტომ „გატყბა“ ასე წყალი.

ჩვენი პლაჟები და სანაპიროები ზაფხულობით არასოდეს უჩივიან დამსვენებელთა სიმცირეს, ასეა წელსაც, მაგრამ ჩვენში ჯერ კიდევ ბევრისთვის უცხოა წყლის სიკეთე, ბევრისთვის ჯერაც გადაუღებავ რუბიკონად ქცეულა წყლისა და მიწის გამყოფი სანაპირო ზოლი.

25-26 ივლისს ჩვენს რესპუბლიკაში ჩატარდება სახალხო ნიშნობის დღეები. ყველგან, სადაც ამის საშუალებაა — შავი ზღვის სანაპიროზე, ტბებსა და მდინარეებზე, წყალსაცავებზე, სანაპიროსა და ბუნებრივ საფარველად უნდა მოემზადოთ ამ დღის შესახვედრად.



ღვთა თბილისის სპორტის

სასახლში მდივანა XVIII სპორტის ორგანიზაციის ორგანიზაციის მიერ

მონაწილეობენ გორის, ბუღაურეთის, უზგურეთის, პოლონეთის, მონღოლეთის, კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის, რუმინეთის, იაპონიის, საფრანგეთის, გერმანიის, პოლონეთის, ბელგიის, აშშ-ის, ესპანეთის, იტალიის, სორიის, კუბის, საბჭოთა კავშირისა და საქართველოს ძიუდოსიტები.

დასაწყისი 13 საათზე. საზეიმო გახსნა 19 საათზე.

ტურნირის გახსნის წინ გაიმართება ანაზღაურება „მზიურის“ კონკურსი.

ბილეთები იყიდება სპორტის სახლის სალონებში.

ჩემპიონატის „მინვლა“

ძლიერმა წყალდიდობამ, რომელიც ამ დღეებში თავს დაატყდა იტალიის ჩრდილოეთ რაიონებს, თუნორ კალათბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატის ორგანიზატორები აიძულა გადაეღოთ ტურნირის ასპარეზობის დაწყება. როგორც ვიუწყებთ, პირველობის მონაწილე 12 ქვეყნის გუნდებს სულ 23 ივლისს უნდა დაეწყოს ბრძოლა.

— საგანგებო ვითარების გამო ჩემპიონატის სტარტი 29 ივლისს იტალიის ვალდებულებით, — განაცხადა იტალიის კალათბურთის ფედერაციის თავმჯდომარე.

მისური პირადად

ცენტრალური ბელაჯიონა. 29 ივლისი. დილის ტანვარჯიში — 9.00 (2); რიტმული ტანვარჯიში — 20.15 (2); საერთაშორისო ტურნირი ფრანკურთში ა. ჩინილინის ხსოვნის პრიზზე — 22.45 (2).

24 ივლისი. დილის ტანვარჯიში — 9.00 (2); ცურვა: საკავშირო ჩემპიონატის შედეგები — 21.15 (2).

„სპორტარგონოზი“

28-ე ტირაქის შედეგები (11-14 ივლისი).

სპორტული ლატარების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა ლატარია „სპორტარგონოზის“ 29 ტირაქის შედეგები, რომელიც 1987 წლის 11-14 ივლისს გაიმართა.

ტირაქში დაუშვეს 7.653.356 ვარიანტი. 13 შედეგის გამოცნობისთვის (2) მოგება 10.000 მანეთი შეადგინა, 12 შედეგის გამოცნობისთვის (47) — 4.885 მანეთი, 11 შედეგის გამოცნობისთვის (579) — 1.551 მანეთი.

28-ე ტირაქის მოგებათა განაღდება იწარმოებს 1987 წლის 3 აგვისტოდან 3 სექტემბრამდე.

„სპორტარგონოზი“

29-ე ტირაქის შედეგები (18-21 ივლისი)

1-2, 2-2, 3-2, 4-1, 5-X, 6-1, 7-1, 8-2, 9-2, 10-2, 11-1, 12-1, 13-1.

შენიშვნა: პირველი ციფრი წყლის ნომერს აღნიშნავს, მეორე — შედეგს.

● ● ●

გაზეთ „ლელო“ რედაქცია თბილისში მიმართავს სპორტის მოყვარულებს, რომ ლატარია „სპორტარგონოზთან“ დაკავშირებულ ვაშლსა და საკითხზე მიმართოთ არა რედაქციას, არამედ სპორტული ლატარების მთავარ სამმართველოს რომლის ტელეფონებია: 34-20-00, 34-28-00, 34-51-72.

რედაქტორი: მ. ბანაიძე

ინინი სპორტულ სპორტულ რიგსა და დიდაცა.

გიორგი რუსხეიშვილი (85 კგ, მახარაძე), ბადრი ჯანაშვილი (88 კგ, კახი), მეველ მელაძე (41 კგ, თბილისი), მამუკა კურდღელაშვილი (44 კგ, ხაგარდუა), მერაბ ტეტუნაშვილი (47 კგ, ზარი), მურთაზ თურქია (50 კგ, ფოთი), ზვიად მამუკელაშვილი (58 კგ, ახმეტა), ლევან ჭურახბედიანი (56 კგ, ლენტეხი), მორის სუკასიანი (59 კგ, თბილისი), ბაკურ ერასვილი (62 კგ, კახი), ზაზა ხინჯიაშვილი (65 კგ, ზარი), ალექსანდრე თანდაშვილი (68 კგ, თბილისი), ფრიდონ ყვავილაშვილი (71 კგ, რუსთავი), დავით ბენდიანაშვილი (74 კგ, მარტყოფი), გრიგოლ გვარდაშვილი (77 კგ, ახმეტა), გიორგი ხურციძე (+77 კგ, ქუთაისი).

საზონათუორისო ტურნირებზე

უზგურეთის ქალაქ ტაბოლაში მიმდინარე ქალთა საერთაშორისო ტურნირში ელენა ახმილავსკიამ 9 შესაძლებელიდან 8 ქულა მოგროვა, უახლოეს მეტოქეს ნახევარი ქული გაუსწრო და პირველი ადგილი დაიკავა.

პიარტარსონთან დამარცხდა. ალექსანდრე ბელიასკიმ ყაიმი დაამთავრა შეხვედრა უზგურელ აღორბთან. ახლა საბჭოთა მოჭადრაკის 1,5 ქულა აქვს, მაგრამ, როგორც იცით, მის გამორთვებული აქვს I და III ტურების შეხვედრები.

უზგურეთის ქალაქ სირაქში მიმდინარე მსოფლიო პირველობის ვაჟთა საზონათუორისო ტურნირზე ლიდერის პოზიციები მხოლოდ ვალერ სლოგოვა და ინგლისელმა ჯონათან ნანმა შეინარჩუნეს.

IV ტურში სლოგოვა ინგლისელ ფლირის სლოვა, ნანმა შევებით მოულოდნელად ბუჯისის. ახლა მათ 3,5:3,5 ქულა აქვთ. ქრისტინასენი (აშშ), რომელიც IV ტურამდე ლიდერთა ჯგუფში იყო, ისლანდიელ

IV ტურის სხვა შეხვედრები ასე დაამთავრა: ლუბოვიჩიჩმა დაამარცხა მილოტი და ახლა იგი ნახევარი ქულით ჩამორჩება ლიდერებს. ტოდორჩევიჩმა სლოვა ბენჯამინს, მარონმა — ალანს, დე ლავილამ — ველიმიროვიჩს. ანდერსონი და პორტში დაზავდნენ.

შეგახსენებთ, რომ სირაქში, ისე როგორც სხვა საზონათუორისო ტურნირებზე, სამი უძლიერესი მოჭადრაკე მიიღებს მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა შეჯიბრების შემდეგი ეტაპის საგზურს.

გაიმარჯვა სსსპ-ის გუნდმა

თბილისის კიდრატის სახალხოში დამთავრდა ქალაქის ფიჭულტურული და სპორტული ორგანიზაციების გაერთიანებული კომიტეტის ჩამორჩეობის XI სპორტაქციის ტურნირი. შეჯიბრებაში მონაწილეობდა 4-4 მოჭადრაკით დაკომპლექტებული 12 გუნდი (3 ვაჟი, 1 ქალი). ტურნირი ოლიმპიური სისტემით ჩატარდა: ფინალში ერთმანეთს შეხვედნენ კიდრატის სა-

ხალისა და უმაღლესი სპორტული დარბაზების რესპუბლიკური №1 სკოლის გუნდები; გამარჯვება კიდრატის სახალხო გუნდმა — 2,5:1,5. ამ გუნდის ლიდერებს იცავდნენ გიორგი მაქარაშვილი, ლილი წეროძე, რაჩიკ კარტაშვილი და მყვალა ხანთაძე.

მესამე ადგილი სპორტის სახალხო მოჭადრაკეთა გუნდმა დაიკავა.

სტარტი ნარკობით აიღო

ბაბიოში დაიწყო მსოფლიო ჩემპიონატი ოც წლამდე ჯაბუთა და გიორგათა შორის. საბჭოთა მოჭადრაკეებმა წარმატებით აიღეს სტარტი.

პირველ ტურში სვეტლანა პრუდნიკოვამ დაამარცხა ავსტრალიელი ბლანშ უილიკ, კამილე ბაგინსკაიტემ — შრი ლანკელი ხაზინ-ამარამიქსენი, ელენა ზაიცაძე — იუგოსლავიელი გორდანა ბიაცანი.

ჯაბუთა ტურნირში გრიგორი სერპერმა მარტინ ბეჯანისის (ახალი ზელანდია) სძლია. ყაიმი დამთავრდა ვლადიმერ აკოფიან — ბლანშ მარტინისა (შვეიცარია) და ვასილი ივანჩუკ-ვიინგი ალანის (ფილიპინები) პარტნიერად.

რა არის მთავარი კრივი?

რა თქმა უნდა, დიდი მნიშვნელობა აქვს მოკრივის ფიზიკურ მოზადებას, მაგრამ ზოგჯერ წარმატება წაის მცირე მონაკვეთში მიღებულ გადაწყვეტილებას მოაქვს, — განუცხადებთ „ლოინეს შორტებს“ (გდრ) კორესპონდენტს სამოყვარულო კრივის ევროპის ასოციაციის (ეაბა) ვიცე-პრეზიდენტმა, ბოლესლავ იფიაქამ (პოლონეთი).

— როგორ აუხებთ ტურნირში გამართულ ევროპის ჩემპიონატს?

— იქ მაღალი დონის ორთაბრძოლები ვიხილეთ. დიას, კონტინენტის სპორტსმენებმა 1985 წლის ჩემპიონატის შემდეგ საგრძობლად აიმაღლეს ტექნიკა და გამძლეობა, რაც ხელს უწყობს მსოფლიო ელიტაში მათ დამკვიდრებას. არანაკლებ მნიშვნელობა აქვს საბრძოლო ფანტაზიას, ამას წაყვან მოკრივეთა გასაგონად ვამბობ, ჯერჯერობით საზრიანობით ყურადღებას მხოლოდ ტექსი (გდრ) და პოლანდიელი ტურნი იქცევენ.

— რაც შეეხება საბჭოთა მოკრივეებს, რომლებმაც წინა პირველობაზე დაკარგული პოზიციები დაიბრუნეს, ისინი მეტოქეებს ტექნიკით

სჯობნიდნენ, მაგრამ მე მიმაჩნია, რომ მათ მოკრივისათვის ეგზომ სპორტული მახვილობისთვის აკლათ.

— ებამ რა დასკვნები გააკეთა მსაჯობის შესახებ?

— ვფიქრობ, ამ მხრივ კატასტროფული მდგომარეობა არ უნდა გვქონდეს, მართალია, უსამართლო გადაწყვეტილებების მიღების შემთხვევები იყო, მაგრამ... ტურნირში 24 მსაჯიდან, სულ ცოტა, ცხრა უნდა გადაგვეყენებინა დროებით. ებამ კვლავაც ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ კრივი პატიოსანი მსაჯობა იყოს.

— რა მიგანიათ ება-ს უახლოეს ამოცანად?

— დამცველმა ჩაფხუტმა დანიშნულმა გაამართლა. კვლავაც ვიზრუნებთ მოკრივის უსაფრთხოებაზე. აქვე უნდა ითქვას, რომ ბევრმა მოკრივემ, მწვერთელმა და გუნდის ხელმძღვანელმა უღისცილობით, უტაქტო გამოსვლებებით დაგვაშინეს თავი. ებამ ამასაც უნდა მიხედოს.

— ებამ მსოფლიო ტრადიციების შენახვაში რა როლი უნდა ითავსებდეს?

— დამცველმა ჩაფხუტმა დანიშნულმა გაამართლა. კვლავაც ვიზრუნებთ მოკრივის უსაფრთხოებაზე. აქვე უნდა ითქვას, რომ ბევრმა მოკრივემ, მწვერთელმა და გუნდის ხელმძღვანელმა უღისცილობით, უტაქტო გამოსვლებებით დაგვაშინეს თავი. ებამ ამასაც უნდა მიხედოს.

— ებამ მსოფლიო ტრადიციების შენახვაში რა როლი უნდა ითავსებდეს?

— დამცველმა ჩაფხუტმა დანიშნულმა გაამართლა. კვლავაც ვიზრუნებთ მოკრივის უსაფრთხოებაზე. აქვე უნდა ითქვას, რომ ბევრმა მოკრივემ, მწვერთელმა და გუნდის ხელმძღვანელმა უღისცილობით, უტაქტო გამოსვლებებით დაგვაშინეს თავი. ებამ ამასაც უნდა მიხედოს.

ნახევარფინალურ ბრძოლებამდე დარბაზში მარტო მოკრივეები და უარსაღიებები იხსნენ.

— ამიტომ მომავალში მეტი დაცვირებით ავირჩევთ ევროპის ჩემპიონატების მასპინძელ ქვეყანასა და ქალაქს. ტურნირში ბევრი საორგანიზაციო საკითხი გამოიკვეთა.

— როგორი უნდა იყოს მალალი კლასის მოკრივე?

— მრავალმხრივი, დინამიური. ძლიერ დარტყმებთან ერთად დაცვის ხელოვნებასაც უნდა ფლობდეს. ასეთია საბჭოთა სპორტსმენი შიშოვი, ბულგარელი ხრისტოვი, პოლანდიელი ვანდერლოდე, გდრ-ის ზოგიერთი წარმომადგენელი.

— მოკლედ პოლონეთი, რომელიც ოც წლის წინათ კრივიში წამყვანი ქვეყანა იყო და რომლის წარუმატებლობა ტურნირის ნახევარფინალში მხოლოდ ერთი გავედა.

— უამრავი პრობლემა პოლონეთის კრივი — მწვერთელებიდან დაწყებული მოკრივეებამდე, კლუბები დიდ მატერიალურ კრიზისს განიცდიან. მხოლოდ მომავლის იმედით ვაპყვს.

(საკდესის კორ).

გვერდის მისამართი: წერილებისთვის — 380096 თბილისი, ლენინის ქ. 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.

რედაქციის ტელეფონები: სამდივნო — 98-97-52, ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53, წერილების განყოფილება — 93-97-55, „მეჩანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.

გვერდის მისამართი: 66350 06435

საქართველოს კმ ცვ-ის გამოცემის შრომის წითელი დროშის ორდენის სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოქტომბრი წიხით ხაჯაზეთო კორპუსში: ზოშიარულში, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40 41 42 43 44 45 46 47 48 49 50 51 52 53 54 55 56 57 58 59 60 61 62 63 64 65 66 67 68 69 70 71 72 73 74 75 76 77 78 79 80 81 82 83 84 85 86 87 88 89 90 91 92 93 94 95 96 97 98 99 100